პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი
№ 303 (13388)

პარასკევი, 24 დეკემბერი, 1965 წ.

ფასი 2 კაპ

გუშინ 23 დეკემბერს, თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

დეპუტატებმა ერთხმად მოიწონეს და დაამტკიცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1966 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

ერთიანი ინტერნაციონალისტური ბრძოლა

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები:

	(ზრდა პროცენტებში 1965 წელთან შედარებით)
მრეწველობის საერთო პროდუქცია	— 9,5 პროცენტით
სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი	— 10 პროცენტით
ძირითადი ფონდების ამოქმედება	— 12 პროცენტით
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	— 9,6 პროცენტით
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	— 4,5 პროცენტით
მშენებლობაში	— 6 პროცენტით
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	— 7 პროცენტით

მუხლი 3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1966 წელს 1965 წელთან შედარებით გადიდდეს:

	(ზრდა პროცენტებში 1965 წელთან შედარებით)
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე	— 6,4 პროცენტით
სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სბავშვო დაწესებულებებში ადგილების რიცხვი	— 11,3 პროცენტით
გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა	— 30,2 პროცენტით
უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა	— 2,3 პროცენტით
საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა	— 9,1 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა	— 17 პროცენტით

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) დააზუსტოს შემდეგში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დავალებანი მრეწველობის მართვის ორგანოების ახალი სისტემის მიმართ, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ 1965 წლის 19 ოქტომბრის კანონით;

ბ) განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 996.073 ათასი მანეთის ოდენობით, და სულ გასავლის ნაწილში 996.073 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1967 წლის 1 იანვრისათვის 29.882 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავლები სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 895.306 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 407.715 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საყვალეყოფოების, სბავშვო ბაღების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის—სულ 584.070 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 105.661 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შესანახავად 20.417 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1966 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 951.771 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 616.200 ათასი მანეთის ოდენობით, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია საქართველოს სს რესპუბლიკურ ბიუჯეტიდან 335.571 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1967 წლის 1 იანვრისათვის 18.486 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1966 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	დოტაცია რესპუბლიკურ ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1967 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	39.165,4	33.649,2	—	39.165,4	1,174,9
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	27.438,2	24.184,8	—	27.438,2	823,1
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	12.532,3	7.820,3	3.958,8	12.532,3	376,0
4. ქალაქი თბილისი	99.954,8	85.264,0	—	99.954,8	2.998,9
5. ქალაქი ქუთაისი	13.706,6	10.004,1	—	13.706,6	411,2
6. ქალაქი ფოთი	4.226,3	3.521,0	—	4.226,3	126,8
7. ქალაქი ჭიათურა	4.456,6	4.110,2	—	4.456,6	133,7
8. ქალაქი რუსთავი	15.185,7	10.525,0	3.909,9	15.185,7	455,6
9. ქალაქი გორი	3.302,5	2.535,1	—	3.302,5	99,1
10. ქალაქი ტყიბული	3.208,0	2.846,6	71,6	3.208,0	96,2
11. აბაშის რაიონი	1.871,2	1.194,5	525,6	1.871,2	56,1
12. ადიგენის რაიონი	1.305,5	473,8	720,0	1.305,5	39,2
13. ამბროლაურის რაიონი	2.246,1	917,5	1.167,7	2.246,1	67,4
14. ასპინძის რაიონი	1.019,7	205,4	745,5	1.019,7	30,6
15. ახალქალაქის რაიონი	4.117,1	2.960,4	766,1	4.117,1	123,5
16. ახალციხის რაიონი	3.917,3	3.590,1	—	3.917,3	117,5
17. ახმეტის რაიონი	2.585,5	1.088,0	1.302,6	2.585,5	77,6
18. ბოგდანოვკის რაიონი	2.221,2	681,1	1.376,6	2.221,2	66,6
19. ბოლნისის რაიონი	2.794,3	1.603,4	977,6	2.794,3	83,8
20. ბორჯომის რაიონი	2.939,4	2.556,4	—	2.939,4	88,2
21. გარდაბნის რაიონი	6.185,1	5.706,4	—	6.185,1	185,5
22. გეგეჭკორის რაიონი	3.964,3	1.239,6	2.467,9	3.964,3	118,9
23. გორის რაიონი	4.093,3	2.896,6	904,4	4.093,3	122,8
24. გურჯაანის რაიონი	4.378,2	3.959,1	—	4.378,2	131,3
25. დმანისის რაიონი	2.191,6	668,8	1.386,7	2.191,6	65,7
26. დუშეთის რაიონი	3.022,5	943,4	1.816,8	3.022,5	90,7
27. ვანის რაიონი	2.595,6	1.305,0	1.136,1	2.595,6	77,9
28. ზესტაფონის რაიონი	4.183,5	3.819,0	—	4.183,5	125,5
29. ზუგდიდის რაიონი	7.583,1	6.724,2	—	7.583,1	227,5
30. თეთრი წყაროს რაიონი	2.787,0	1.010,0	1.516,6	2.787,0	83,6
31. თელავის რაიონი	5.005,9	3.937,4	704,7	5.005,9	150,2
32. თერჯოლის რაიონი	2.337,1	1.388,6	809,2	2.337,1	70,1
33. თიანეთის რაიონი	2.012,1	460,6	1.422,2	2.012,1	60,3
34. კასპის რაიონი	2.876,0	2.602,6	—	2.876,0	86,3
35. ლაგოდეხის რაიონი	3.134,4	2.870,6	—	3.134,4	94,0
36. ლანჩხუთის რაიონი	2.739,6	1.766,1	710,9	2.739,6	82,2
37. ლენტეხის რაიონი	1.740,4	180,6	1.496,1	1.740,4	52,2
38. მაიაკოვსკის რაიონი	2.340,5	781,0	1.428,8	2.340,5	70,2
39. მარნეულის რაიონი	4.542,4	4.138,7	—	4.542,4	136,3
40. მახარაძის რაიონი	5.094,2	4.511,7	—	5.094,2	152,8
41. მესტიის რაიონი	1.810,4	242,1	1.517,1	1.810,4	54,3
42. მცხეთის რაიონი	2.574,8	2.057,9	319,3	2.574,8	77,2
43. ონის რაიონი	2.016,6	1.886,6	—	2.016,6	60,5
44. ორჯონიკიძის რაიონი	2.606,2	872,4	1.592,0	2.606,2	78,2
45. საგარეჯოს რაიონი	2.492,7	1.724,3	599,6	2.492,7	74,8
46. სამტრედიის რაიონი	3.815,4	3.270,5	—	3.815,4	114,4
47. საჩხერის რაიონი	2.689,0	991,0	1.502,1	2.689,0	80,7
48. სიღნაღის რაიონი	3.269,4	2.341,2	563,9	3.269,4	98,1
49. ქარელის რაიონი	2.616,4	2.406,7	—	2.616,4	78,5
50. უჯარმის რაიონი	1.141,2	222,7	862,9	1.141,2	34,2
51. ყვარლის რაიონი	2.531,4	1.058,4	1.276,2	2.531,4	75,9
52. ჩობანიანის რაიონი	2.579,3	794,0	1.589,4	2.579,3	77,4
53. ჩხოროწყუს რაიონი	2.336,6	681,0	1.504,3	2.336,6	70,1
54. ცაგერის რაიონი	2.087,4	532,0	1.412,2	2.087,4	62,6
55. ცხინვალის რაიონი	3.754,2	3.320,7	—	3.754,2	112,6
56. წალენჯიხის რაიონი	2.602,1	1.436,0	1.009,1	2.602,1	78,1
57. წალკის რაიონი	3.167,1	978,0	1.977,0	3.167,1	95,0
58. წითელწყაროს რაიონი	2.457,1	1.460,8	762,3	2.457,1	73,7
59. წულუკიძის რაიონი	2.840,4	848,0	1.720,9	2.840,4	85,2
60. წყალტუბოს რაიონი	3.847,6	2.406,5	860,3	3.847,6	115,4
61. ხაშურის რაიონი	3.405,7	2.901,5	135,8	3.405,7	102,2
62. ხობის რაიონი	2.231,5	1.386,2	590,8	2.231,5	66,9
სულ	379.873,0	284.459,4	51.111,6	379.873,0	11.396,0

მუხლი 8. დამტკიცდეს 1966 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	40	100	96	89	58,7
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	44	100	100	75	45,2
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100,0
4. ქალაქი თბილისი	8	—	—	78	27,5
5. ქალაქი ქუთაისი	20	—	—	71	15,9
6. ქალაქი ფოთი	40	—	100	99	57,6
7. ქალაქი ჭიათურა	80	—	100	100	74,8
8. ქალაქი რუსთავი	100	—	—	100	100,0
9. ქალაქი გორი	61	—	—	96	25,6
10. ქალაქი ტყიბული	100	100	100	100	100,0
11. აბაშის რაიონი	100	100	100	100	100,0
12. ადიგენის რაიონი	100	100	100	100	100,0
13. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
14. ასპინძის რაიონი	100	100	100	100	100,0
15. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100,0
16. ახალციხის რაიონი	100	100	100	100	96,7
17. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100,0
18. ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	100,0
19. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100,0
20. ბორჯომის რაიონი	100	—	100	100	40,6
21. გარდაბნის რაიონი	50	—	100	100	59,3
22. გეგეჭკორის რაიონი	100	100	100	100	100,0
23. გორის რაიონი	100	100	100	100	100,0
24. გურჯაანის რაიონი	50	100	100	100	77,2
25. დმანისის რაიონი	100	100	100	100	100,0
26. დუშეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
27. ვანის რაიონი	100	100	100	100	100,0
28. ზესტაფონის რაიონი	50	98	100	100	61,0
29. ზუგდიდის რაიონი	50	100	100	100	85,0
30. თეთრი წყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
31. თელავის რაიონი	100	100	100	100	100,0
32. თერჯოლის რაიონი	100	100	100	100	100,0
33. თიანეთის რაიონი	100	—	100	100	100,0
34. კასპის რაიონი	100	94	100	100	29,7
35. ლაგოდეხის რაიონი	100	100	100	100	31,4
36. ლანჩხუთის რაიონი	100	100	100	100	100,0
37. ლენტეხის რაიონი	100	—	100	100	100,0
38. მაიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	100,0
39. მარნეულის რაიონი	100	100	100	100	78,1
40. მახარაძის რაიონი	50	90	50	100	71,1
41. მესტიის რაიონი	100	—	100	100	100,0
42. მცხეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
43. ონის რაიონი	100	100	100	100	94,2
44. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
45. საგარეჯოს რაიონი	100	100	100	100	100,0
46. სამტრედიის რაიონი	50	100	100	100	26,6
47. საჩხერის რაიონი	100	100	100	100	100,0
48. სიღნაღის რაიონი	100	100	100	100	100,0
49. ქარელის რაიონი	50	100	100	100	37,7
50. უჯარმის რაიონი	100	100	100	100	100,0
51. ყვარლის რაიონი	100	100	100	100	100,0
52. ჩობანიანის რაიონი	100	100	100	100	100,0
53. ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	100,0
54. ცაგერის რაიონი	100	100	100	100	100,0
55. ცხინვალის რაიონი	50	100	100	100	68,9
56. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100,0
57. წალკის რაიონი	100	100	100	100	100,0
58. წითელწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
59. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
60. წყალტუბოს რაიონი	100	100	100	100	100,0
61. ხაშურის რაიონი	100	—	100	100	100,0
62. ხობის რაიონი	100	100	100	100	100,0

მუხლი 9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანოს დაზუსტებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1965 წლის 19 ოქტომბრის კანონი „მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ", და შესაბამისად შეცვალოს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები;

ბ) განიხილოს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, აგრეთვე დეპუტატთა მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის საბოლოო სხდომა

23 დეკემბრის დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის საბოლოო სხდომა. თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ხ. ს. ბღაება.

სესია კვლავ განიხილავს მოხსენებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, აგრეთვე თანამოსაუბრეებს.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატები ო. ვ. თაქთაქიშვილი (რუისის საარჩევნო ოლქი, გორის რაიონი), ვ. ა. პაპატაშვილი (ლენინის საარჩევნო ოლქი, ახალციხის რაიონი), ვ. პ. ივანოვი (ლოქინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), ლ. ა. ფანჩაველი (აბისის საარჩევნო ოლქი, ქარელის რაიონი), დ. ხ. საბაშვილი (ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), ბ. რ. ხუნდაძე (ფიოლეტოვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), ი. დ. მელაშვილი (ამბროლაურის საარჩევნო ოლქი, ამბროლაურის რაიონი), ზ. ს. ჯაფარიძე (მშენებელთა საარჩევნო ოლქი, ქალაქი რუსთავი).

ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ სესიის განსახილველად შეტანილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები სწორად არის შედგენილი და სოციალისტური სისტემის უპირატესობათა უფრო სრული გამოყენების საშუალებას იძლევა. გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვისას ხალხის რჩეულებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საწარმოო ძალების განვითარების, ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანი გამოყენების, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ფართოდ დანერგვის საკითხებს. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა მატერიალური და ფულადი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის, დანაკარგების შემცირებისათვის, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დეპუტატებმა და ორატორებმა რწმენა გამოთქვეს, რომ იმ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება, რომლებსაც სესია მიიღებს, უეჭველია ახალი ნაბიჯი იქნება პარტიის შესანიშნავ წინასწარდასახულობათა შესრულების გზაზე, წვლილი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

განახლდა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ი. ბ. აბაშიძემ, დეპუტატმა ი. პ. კობერიძემ (მშვიდობის საარჩევნო ოლქი, ქალაქი გორი), ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ბ. ალიმბმა.

ამით დამთავრდა სესიის დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის განხილვა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ე. ზ. ჯაფარიძემ.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ხ. ტრაპეზიძის საბოლოო სიტყვა.

ერთხმად მიღებულ იქნა კანონი საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და დამტკიცებულ იქნა ანგარიში საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სესია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას. მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კვაჭაძემ.

ზ. ა. კვაჭაძემ გამოაქვეყნა წარდგინება, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეიტანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების სახალხო კონტროლის ორგანოებად გარდაქმნისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემოაქვს წარდგინება ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს მ. ი. კუპავა და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მ. ი. კუპავა დანიშნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

დეპუტატებმა მიიღეს კანონები და დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მეექვსე სესიის შემდეგ იყო მიღებული. უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ.

ამით საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მუშაობა დამთავრა.

(საქდესი).

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავალში 948 290 ათასი მანეთის, ხარჯებში — 912.684 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავლის ჭარბებზე — 35.606 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკე

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით 20-დან 22 დეკემბრამდე საბჭოთა კავშირში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კალევა კეკონენი. ვიზიტის დროს გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელებისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საუბრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბრებში მონაწილეობდნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი ფინეთში ა. ე. კოვალიოვი.

ფინეთის მხრივ საუბრებში მონაწილეობდა ფინეთის ელჩი საბჭოთა კავშირში იორმა ეანამო.

გულთბილი, მეგობრული საუბრების დროს მხარეებმა გულახდილად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე, მათ შორის საკითხებზე, რომლებიც შეეხება მდგომარეობას ევროპაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ სთხოვეს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურხო კალევა კეკონენს ოფიციალური ვიზიტით ჩამოეკვლევინა საბჭოთა კავშირში მისთვის ხელსაყრელ დროს. პრეზიდენტი კეკონენი მადლობით დათანხმდა ამ მოწვევას. ვიზიტის დრო შეთანხმებული იქნება დამატებით.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი მიიწვია ფინეთში. საბჭოთა ხელმძღვანელები მიწვევას მ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 60-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მიღებულ იქნა საქართველოს სსრ 1965 წლის 23 დეკემბრის კანონები „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“ და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გაყოფის, კომეტერნებისა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პატრეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის თავადარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ ადიგენის, ასპინძისა და შუახევის რაიონების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ადიგენის, ასპინძისა და შუახევის რაიონების შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლის სტატუტში: „სასოფლო მშენებლობის და“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლის სტატუტში „სასოფლო მშენებლობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „სასოფლო მშენებლობის და“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დანაშაულებისა და ადმინისტრაციული ვალდებულებების კოდექსის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 60-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის თანამოხსენებება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ 1966 წლის სახალხო მეურნეობის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილია სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად, ასახულია ჩვენი რესპუბლიკის ყველა მიღწევა, საქართველოს შრომელთა შრომითი წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

საბიუჯეტო კომისიის დავალებით მინდა თქვენი უურადღება უწინარეს ყოვლისა შევიჩერო საქართველოს 1966 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტზე. ამ პროექტის შესახებ სესიას დაწვრილებით მოახსენებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჯაფარიძემ. ამიტომ საბიუჯეტო კომისია თქვენს ყურადღებას მიაპყრობს გეგმის მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელზე.

1966 წლის გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის საერთო პროდუქციის 9,5 პროცენტით ზრდას მიმდინარე წელთან შედარებით, მათ შორის ქიმიური მრეწველობა გაიზრდება 38,7 პროცენტით, მანქანათმშენებლობა — 15,7 პროცენტით, კვების მრეწველობა — 8,1 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობა — 9,6 პროცენტით და ა. შ. 1965 წელთან შედარებით გაიზრდება ავრეთვე ელექტროენერგიის გამომუშავება 13,4 პროცენტით, მარგანეცის შენადნობების წარმოება — 15,7 პროცენტით, ფოლადისა — 4 პროცენტით, კაჟროლატამისა — 32 პროცენტით და ა. შ.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოება მოთხოვნილების შესაბამისად, სანდლეულო ბაზის შესაძლებლობათა მიხედვით.

კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოება გაიზრდება 13 პროცენტით.

გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე საზოგადოებრივ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის მნიშვნელოვან ზრდას.

სოფლის მეურნეობის საქონელისათვის ბამოყოფილი იქნება კაპიტალური დაბანდების თანხები 124 მილიონი. მათ ხელის ოდენობით, რაც ძირითადად მოხმარდება წყალთა მეურნეობის ობიექტებს, მეცხოველეობის კომპლექსურ მეურნეობიებს, სოფლის მეურნეობის საწარმოთა შემდგომ ელექტროფიკაციასა და მექანიზაციას.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1966 წლისათვის განსაზღვრულია 418,3 მილიონი მანეთის ოდენობით.

1966 წელს სულ რესპუბლიკაში სახალხო მშენებლობის ყველა წყაროდან საექსპლოატაციოდ გადაეცემა 707 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი ბინები.

სახელმწიფო კომისიის დასკვნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ დარიგებული აქვთ დეპუტატებს. სახელმწიფო კომისიას მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობის გეგმა შედგენილია სწორად და მოლიანად უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც დგას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ბოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების დარგში. ამიტომ სახელმწიფო კომისიას შემოაქვს წინადადება მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

ამავე დროს სახელმწიფო კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულების პროცესში გამოვლინებულია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. არ სრულდება ელექტროენერგიის გამომუშავების, კაჟროლატამის, ლითონსაჭრელი ჩარხების, რეინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების, ბამბის ქსოვილების, კონსერვების პროდუქციის გამოშვების გეგმები. არასაკმაოდ ხორციელდება საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის დავალება, ზოგან კი არ სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა.

სახელმწიფო კომისიას საჭიროდ მიაჩნია დავალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის გეგმით დადგენილ დავალებათა დროზე და სრულად შესრულება.

ამხანაგო დეპუტატებო!

ნება მომეცით მოკლედ დავახასიათო საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 948.290 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 102,8 პროცენტით, გასავლის ნაწილში 912.684 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 99,7 პროცენტით.

ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლის — ბრუნვის გადასახადის გეგმა შესრულებულ იქნა 102,6 პროცენტით. ამ სახეობაში გეგმა მთლიანად შესრულეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სამინისტროს. ამავე დროს ბრუნვის გადასახადის გეგმების შესრულება ვერ უზრუნველყვეს: სახალხო მეურნეობის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის და ქიმიური მრეწველობის სამმართველოებმა, თბილისის ცხიმკომბინატმა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობის სამინისტრომ რესპუბლიკურ ბიუჯეტში მოგების ანარიცხების 1964 წლის გეგმა მთლიანად შეასრულა, ცალკეულმა სამმართველოებმა ამ სახეობაშიც ვერ უზრუნველყვეს ვალდებულებათა შესრულება ბიუჯეტის წინაშე.

მოგების ანარიცხების თანხები ბიუჯეტს დააკლეს: მშენებლობის სამინისტროს 3.866 ათასი მანეთი, კავშირგაბმულობის სამინისტრომ — 398 ათასი მანეთი და სამეთაურენერგომ — 2.183 ათასი მანეთი.

მთელ რიგ რაიონებში მთლიანად ვერ შესრულდა მოსახლეობის გადასახადებისა და გამოსაღებთა გეგმები, სახელდობრ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში გეგმები ვერ შეასრულეს ამბროლაურის, ახმეტის, ბოლნისის, გეგეჭკორის, გორის, ზესტაფონის, ყვარლის, ლანჩხუთის, მცხეთის, საგარეჯოს, თელავის, ხაშურის, ცხაკაიას და წყალტუბოს რაიონებმა.

ზოგმა რაიონმა ვერ უზრუნველყო სანახაობის გადასახადის, სატყეო შემოსავლის და მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის გეგმების შესრულება.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების საგასაღო ნაწილის შეუსრულებლობა გამოწვეულია ძირითადად კაპიტალურ დაბანდებებზე თანხების აუთვისებლობით, აგრეთვე იმით, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიება მთლიანად არ განხორციელებულა. სახელდობრ, განაჯალების დარგში არ შესრულდა აღსაზრდელთა გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტი, კლასთა რაოდენობა და მოსწავლეთა რიცხვი მუშათა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

სამკურნალო დაწესებულებათა კვების პროდუქტებით არადამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფის შედეგად ადგილი ჰქონდა კვებაზე გათვალისწინებული თანხების არასრულად გამოყენებას და ა. შ.

როგორც 1964 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების მასალები გვიჩვენებენ, ამ წელს საერო დონეზე არ იდგა საფინანსო დისციპლინა. მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომები არადამაკმაყოფილებელ კონტროლს ახორციელებდნენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე, რის შედეგად ადგილი ჰქონდა ხარჯების დაწესებული ნორმების დარღვევას, საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთიდან უკანონო ხარჯების გაწევას. მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაფრთხილებისა, 1964 წელს მმართველობის ორგანოების შენახვაზე დაშვებულ იქნა თანხების გადახარჯვა და ა. შ.

საბიუჯეტო კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს წინადადება დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლში 948.290 ათასი მანეთი, ხარჯებში 912.684 ათასი მანეთი, შემოსავლის ხარჯებზე გადაჭარბებით 35.606 ათასი მანეთის ოდენობით.

ამხანაგო დეპუტატებო!

წელს საბიუჯეტო კომისიამ ორჯერ განიხილა ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა, რის შედეგადაც დადგენილ იქნა გარდვეულები როგორც საშემოსავლო. ისე საგასაღო ნაწილში. ამავიდან ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ბიუჯეტის შესრულებისათვის ბრძოლა დიდ ყურადღებას მოითხოვს. 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დაზუსტებული გეგმა ცხრა თვეში შესრულებულია მხოლოდ 73,4 პროცენტით, ხოლო ხარჯები ამავე პერიოდში ათვისებულ იქნა 69,2 პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ ბრუნვის გადასახადის ცხრა თვის გეგმა მთლიანად იქნა შესრულებული, რესპუბლიკის ზოგმა ორგანიზაციამ, როგორიც არის „საქტანსაცმელეკავშირობა“, „საქმაკალეა“, საქენერგო და სხვ., ვერ უზრუნველყო ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულება.

მთლიანად შესრულებული არ არის აგრეთვე რესპუბლიკურ ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ცხრა თვის გეგმა (94 პროცენტი). ამ ანარიცხებში მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის სამინისტროებმა, საქენერგომ, ქიმიური მრეწველობის სამმართველომ, „საქართველოს ჩაიმ“, „საქპურკოსდატრომა“, პატრეულის პროდუქტების მთავარმა სამმართველომ, საფეიქრო მრეწველობის სამმართველომ და მთელმა რიგმა სხვა უწყებებმა 10 მილიონ მანეთზე მეტი დააკლეს ბიუჯეტს. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ცხრა თვეში ადგილობრივი შემოსავლის გეგმის შესრულება და ასევე არასანუგეშო სურათს იძლევა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება მიმდინარე IV კვარტალშიც.

ამავე დროს ჯერ კიდევ დიდია სახელმწიფო გადასახადებისა და გადასახდელთა ნარჩენების ოდენობაც.

ზოგიერთი რაიასპკომი აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს სახელმწიფო გადასახადებისა და გადასახდელთა ნარჩენების ლიკვიდაციის საქმეს, რის გამო მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის ნარჩენები მნიშვნელოვანი ოდენობით იერცხებოდა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ბორჯომის, ბოლნისის, ზესტაფონის, ქარელის, ზუგდიდის, სიღნაღის და სხვა რაიონებში.

საყურადღებოა, რომ ზოგან კვლავ არის სბიუჯეტო დისციპლინის დაორვევისა და უკანონო ხარჯების გაწევის ფაქტები.

ჩოხატაურის რაიონში 50 საწოლიანი საავადმყოფოს ნაცვლად გახსნილ 100 საწოლიან საავადმყოფოში ზედმეტი სიმტატო ერთეული აიყვანეს, რაზეც ყოველთვიურად იცემოდა 1.173 მანეთი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ზემდგომი ორგანოების ნებადაურთველად ინახებოდა დასასვენებელი სახლის საშტატო ერთეული, თიანეთის რაიონში ინახავდნენ „სიონმშენის“ საეკმო პუნქტს, მაშინ, როცა ეს მშენებლობა 1964 წელს დამთავრდა, გეგეჭკორის რაიონის სამაგვარო ბაღში ფაქტიურ საბერიოს ბავშვი გახსნილი იყო ორ ჯგუფი, ზედმეტად აყვანილი ჰყავდათ 11,5 საშტატო ერთეული და ა. შ. რევიზიებითა და შემოწმებებით საბიუჯეტო დარღვევის, სახელმწიფო სახსრების უკანონოდ, არამიზნობრივად და უყაირათოდ ხარჯვის ფაქტები დადგენილია ხაშურის, ლენტეხის, გეგეჭკორის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში, რასაც შედეგობრივ ბოლო უნდა მოეღოს.

ამხანაგო დეპუტატებო!

გადადგიგარით საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დასასიათებაზე.

საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, როგორც შემოსავალს, ისე გასავლის ნაწილში წარმოდგენილია 992.043 ათასი მანეთის მოცულობით, რაც 36.515 ათასი მანეთით ანუ 3,8 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტის ასეთი ზრდა მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ აღმავლობას. წარმოების შემდგომი განვითარებისა და საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების შედეგად წლითიწლობით იზრდება შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან, რის ხვედრითი წონაც ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხაში 1966 წელს 89,9 პროცენტს შეადგენს.

1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ფულადი რესურსები სრულად უზრუნველყოფენ ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომლებიც დასახული ამავე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენს ბრუნვის გადასახადი ანარიცხების სახით. მომავალ წელს ეს შემოსავალი განისაზღვრება 499.657 ათასი მანეთით, ხოლო მოგების ანარიცხები გათვალისწინებულია 253.317 ათასი მანეთის ოდენობით.

ბიუჯეტში შემოსავლის გეგმის შესრულების აუცილებელი პირობებია საწარმოო გეგმების მთლიანად შესრულება, საწარმოს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, ბრძოლა თვითთეულ საწარმოში თვითეულ სამეურნეო ორგანიზაციაში რენტაბელობის შემდგომი ამაღლებისა და დაგროვების გადიდებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ფართო შესაძლებლობას ქმნიან თვითეული საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, საწარმოს მუშაობის მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე დაყენებისათვის, მართვის რეორგანიზაციის და დაგეგმვის გაუმჯობესების, აგრეთვე მატერიალური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებათა შედეგად მუშაობა ბევრად უფრო მოგნილი, ოპერატიული, მაღალხარისხოვანი ხდება.

ასეთი გარდატეხა საწარმოს საქმიანობაში უეჭველად მოითხოვს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის კოკრეტიზაციას იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმარების საწარმოთა ფართო სამეურნეო ინიციატივასთან სწორი შეხამება.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაგეგმილია 992.043 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახალხო მეურნეობის დარგებზე 405.815 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე — 531.940 ათასი მანეთი და ა. შ.

სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებას ჩვენს ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი მთელი ხარჯების 40,9 პროცენტს შეადგენს. მრეწველობასა და მშენებლობაზე 1966 წელს ბიუჯეტიდან გაიცემა 109.666 ათასი მანეთი. სოფლის მეურნეობაზე — 126.883 ათასი მანეთი, კომუნალურ მეურნეობაზე — 77.795 ათასი მანეთი, ვაჭრობაზე — 9.196 ათასი მანეთი.

გარდა სბიუჯეტო თანხებისა, 1966 წელს სახალხო მეურნეობას საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან ეთხამრდება 337.184 ათასი მანეთი, მათ შორის მრეწველობაში და მშენებლობაში 200.490 ათასი მანეთი. ეს თანხები უზრუნველყოფენ ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებას, ოღონდ ამისათვის საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ მეურნეობაში არსებული შიდარეზერვები, გაუფუყვეტლივ ვზრდოთ შრომის ნაყოფიერება და ვიზრუნოთ თვითღირებულების შემცირებაზე. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არიან მთელი რიგი წამგებიანი საწარმოები. ეს ძირითადად საწარმოთა ორგანიზაციულ-ტექნიკური წესიერების ბრალია. ეამედოვნებთ, რომ 1966 წელი ამ დარგში მნიშვნელოვან გარდატეხას მოახდენს, სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე ახლად შექმნილი სამინისტროები შეძლებენ კონკრეტული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას და მიაღწევენ იმას, რომ რესპუბლიკაში აღარ იქნება წამგებიანი მეურნეობები.

მრეწველობის დარგში ჩვენ სხვა მტკივნეული საკითხებიც გვაქვს, რომლებიც დროულად გადაჭრას მოითხოვენ. პირველ რიგში ასეთია პროდუქციის ხარისხის საკითხი. ჯერ კიდევ არსებობს ისეთი საწარმოები, რომლებიც პატივს არ სცემენ თავიანთ საფაბრიკო მარკას, მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია დაბალი ხარისხისაა, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამის გამო საქონლის დიდი რაოდენობა ჩაწოლილია ჩვენს სავაჭრო ორგანიზაციებში. გარდა იმისა, რომ ეს პროდუქცია ამოუუყენებელი რჩება, ის დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთავარი მხოლოდ პროდუქციის რაოდენობრივი ზრდა როდია, არამედ ამასთან ერთად ის მაღალი ხარისხისაც უნდა იყოს. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევდნენ ამას, მაგრამ როგორც ჩანს, გატარებული ღონისძიებები საკმაო არ არის. სბიუჯეტო კომისია თვლის, რომ სამინისტროებმა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა საწარმო კოლექტივებთან ერთად კიდევ უფრო უნდა გაამახვილონ ყურადღება ამ საკითხზე, მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჯამოშვებული პროდუქციის ხარისხს. მნიშვნელოვანი თანხებია განსაზღვრული 1966 წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის. როგორც სახალხო-სამეურნეო გეგმის, ისე რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია კონკრეტული დავალებანი და ასიგნებები, რომ შესრულდეს სკკ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, კერძოდ:

სერიოზული დახმარება ეუწევა კოლმეურნეობებს მელიორაციულ და კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ბიუჯეტიდან ლაფინანსების გზით. მსხვილი თანხების გამოყოფა გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, მეცხოველეობის სადგომებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა ნაგებობათა ასაშენებლად.

მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზითაც.

მოსახლეობის სიყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მომსახურების ხარისხს, რაც ჯერჯერობით არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ღონისძიების არსებული დონე მთლიანად ვერ უპასუხებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ეს მნიშვნელოვანი საქმეა და მეტ ოპერატიულობას, დიდ ინიციატივას და მაქსიმალურ მოქნილობას მოითხოვს.

ვაჭრობა ერთ-ერთი თვალსაჩინო დარგია ჩვენს მეურნეობაში. საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ვაჭრობის ღონისძიებებზე გაიღება 9.196 ათასი მანეთი. ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის კოლექტივები, მოსახლეობისათვის მომსახურების გაუჯვის საქმეში დიდ მუშაობას ასრულებენ. მიუხედავად ამისა, საგრძნობია ნაკლოვანებანიც.

სავაჭრო ორგანიზაციები არასაკმაოდ სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას და არასათანადოდ მოქმედებენ საბრეწველო ორგანიზაციებზე. არ არის საკმარისი თვით არსებული ქსელი, როგორც ვაჭრობაში, ისე სახლგადებრივი ქვების ხაზით, მეტადრე სოფლად, დაბალია მოსახლეობის მომსახურების კულტურა.

საჭიროა სავაჭრო ორგანიზაციები, ცეკავშირი და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ღრმად ჩასწვდნენ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას, გულდასმით შეისწავლონ მოსახლეობის საჭიროება და მიიღონ ღონისძიებანი მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენი სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომი განვითარებისათვის მატერიალური და საფინანსო რესურსების სრულ მობილიზაციასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რესურსების მოჭირნეობით და მიზნობრივად გამოყენებას. უამისოდ ყოველი ღონისძიება უშედეგო იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მნიშვნელოვანი რესურსები, მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია და შრომითი აქტიურობა ყოველგვარ პირობებს ქმნიან რესპუბლიკის სახალხო სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის. ამიტომაც სბიუჯეტო კომისია სთხოვს, რომ სამინისტროებმა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყურადღება ეს ამოცანა ადგილ-ადგილ ბავშვთა დაწესებულებების ქსელი, მოსწავლეთა რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

ფართო განვითარების შესაძლებლობა იქმნება აგრეთვე სამკურნალო ქსელში, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში.

ამავე დროს ეს შეიძლება არ შეეფეხოთ ისეთ საკითხს, როგორიც არის ზოგიერთი საშუალო სპეციალური ან უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელების უყურადღებობა გეგმების შესრულებისადმი. მთავრობის მიერ დამტკიცებული და სახალხო მეურნეობის გეგმაში მოსწავლეთა მიღების განსაზღვრული რაოდენობა თვითნებურად იწრეკვეა.

ამხანაგო დეპუტატებო!

სბიუჯეტო კომისიაში შემოსულია სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოთხოვნილებანი და წინადადებანი საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით. სბიუჯეტო კომისიამ განიხილა ეს მასალები და შესაძლებლად მიიჩნია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში შეტანილ იქნას ზოგიერთი შესწორება. სახელდობრ კომისიას შესაძლებლად მიაჩნია გაზრდოს შემდეგი ხარჯები: ადგილობრივ ბიუჯეტებით: განათლების ხაზით გადიდდეს ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა ინვენტარის ხარჯები 277 ათასი მანეთით, სახატვრულ ტიპის სკოლა-ინტერნატების, სამკვლევო ბაღებისა და სტუდიო სკოლების ავადმყოფ ბავშვთა გამოჯანსაღებელ ღონისძიებებზე 53 ათასი მანეთით, განათლებისა და კულტურის დაწესებულებების შენობათა კაპიტალური რემონტი 315 ათასი მანეთით, ადგილობრივი თეატრების დოტაცია 136 ათასი მანეთით.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანხები დადგენილია გადიდდეს ამ სკოლებზე დაწესებულებათა ინვენტარის შესაძენად 429 ათასი მანეთით და ფსიქიატრიულ საწოლებზე მუდიკამენტების დამზადებით შესაძენად 25 ათასი მანეთით.

კომუნალური მეურნეობის ხაზით ქალაქების, რაიცენტრებისა და დაბების ეკონომიწყობისა და სპეციალ ფონდზე სბიუჯეტო კომისიას შესაძლებლად მიაჩნია თანხები გადიდდეს 875 ათასი მანეთით და ა. შ.

გარდა ამისა, საქართველოს სს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებს სხვადასხვა ღონისძიებებზე გაუდიდდათ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები 1.803 ათასი მანეთით.

ამ დამატებითი ასიგნებათა განაწილება დაწვრილებით ნაჩვენებია სბიუჯეტო კომისიის დასკვნაში 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე, რომელიც დარიგებული აქვთ დეპუტატებს.

ამ ხარჯების დაფარვის უზრუნველსაყოფად კომისიამ გამოავლინა ახალი დამატებითი სამეურნეო წყაროები და მიიღო მხედველობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლში შეტანილი ცვლილებები, რის შედეგადაც სბიუჯეტო კომისიას შესაძლებლად მიაჩნია გადიდოს 1966 წლის ბიუჯეტის მოცულობა 4.030 ათასი მანეთით.

დასახელებულ ცვლილებათა გათვალისწინებით სბიუჯეტო

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შებამის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **დადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შესაბამისი დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ნარკომანებისა და გაბოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **დადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოუყენებლობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **დადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოუყენებლობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ზ. თამთარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **დადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ზ. ზ. თამთარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **დადგენს:**

დანიშნოს ამხ. მიტროფანე იონას-ძე კუჭავა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, ამასთან დაკავშირებით გათავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომაზე. ფოტო ზ. ჩხეტიანისა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიიდან დღემდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ძალი რიგი ბრძანებულებანი, რომლებიც რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად უნდა განიხილოს და დამტკიცოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ. მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ ამ ბრძანებულებათა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით შექმნა აღიგენის, ასპინძისა და შუახევის რაიონები.

ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭირო იქნება შეტანილ იქნას სათანადო დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 და 21-ე მუხლებში.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-19 მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობა, უნდა დაემატოს აღიგენისა და ასპინძის რაიონები, ხოლო 21-ე მუხლს — შუახევის რაიონი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 27 ოქტომბერს მიიღო ბრძანებულება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შექმნის შესახებ, ხოლო 1965 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულებით შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია.

საჭირო იქნება დამტკიცდეს აღნიშნული ბრძანებულებები და შეტანილ იქნას დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროები. სახელდობრ, 56-ე მუხლს სტატუტის: „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „სასრულო მშენებლობის და“. 50-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას, უნდა დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე“.

საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარის წარდგინების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულებით ამხანაგი შოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად, ხოლო 1965 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულებით შეტანილ იქნა ცვლილება ამ ბრძანებულებაში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეექვსე მოადგილედ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარედ. ეს ბრძანებულებებიც შემოგვაქვს თქვენს დასამტკიცებლად.

ამხანაგო დეპუტატებო! არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ცალკეული მოქალაქეები დაუდევრად ეპყრობიან ცეცხლსასროლ იარაღს, არღვევენ მისი შენახვისა და სარგებლობის წესებს, რის შედეგადაც გახშირდა მართლწესრიგის დარღვევები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გათვალისწინა ეს მდგომარეობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების საფუძველზე 1965 წლის 17 დეკემბერს მიიღო ბრძანებულება „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ბრძანებულებით დაწესდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი სროლა დასახლებულ ადგილს, აგრეთვე ისეთ ადგილს, რომელიც საამისოდ არ არის განკუთვნილი, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა უშიშროებას ან არღვევს საზოგადოებრივ მყუდროებას, კუთხეული ცეცხლსასროლი იარაღის სხვა პირისთვის მიცემა, ამ იარაღის ხელახალი რეგისტრაციის თავიდან აცდენა, აგრეთვე გლუვლულიანი სანადირო თოფების მიყიდვა ან მიცემა იმ პირისათვის, რომელსაც სანადირო ბილეთი არა აქვს, თუ ამ ქმედობის გამო სასჯელის სამართლის სასჯელი არ არის გათვალისწინებული, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 20 მანეთამდე იარაღის უსასყიდლოდ ჩამორთმევით.

გარდა ამისა, ორგანიზაციიდან ან დაწესებულებიდან კუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღის, აგრეთვე გლუვლულიანი სანადირო თოფის და ამ იარაღებისათვის საჭირო საბრძოლო მასალის მიყიდვა იმ პირისათვის, რომელსაც ასეთი იარაღის შეძენის ნებართვა ან სანადირო ბილეთი არა აქვს, საუწყებო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ამ იარაღის გაუაცება ან დაკარგვა, სხვისთვის გადაცემა ან არადანიშნულებისამებრ გამოყენება, თუ ასეთი ქმედობის გამო არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის სასჯელი, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — წარმოების, ორგანიზაციის და დაწესებულების იმ მუშაკის დაჯარიმებას 30 მანეთამდე, რომელიც დამნაშავე იქნება ამაში.

თქვენს განსახილველად შემოგვაქვს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 18 დეკემბერს მიიღო ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე.

ამ ბრძანებულების მიღებამდე დაწესებული იყო, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ და სხვა ღონისძიებათა იმ გადაუდებელი ხარჯების დასაფარავად, რომლებიც ვერ იქნება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

ახალი ბრძანებულების შესაბამისად ზემოდაღნიშნული გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი იქმნება ქალაქ თბილისის ბიუჯეტშიც.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა განიხილა კონტროლის არსებული სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხი. კონტროლისა და შემოწმების საქმეში მშრომელთა უფრო ფართოდ ჩაბმისა და კონტროლის ორგანოების მუშაობაში მათი როლის ამაღლების მიზნით პლენუმმა გადაწყვიტა გარდაიქმნას პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სახალხო კონტროლის ორგანოებად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მომზადა სესიის განსახილველად შემოიტანა „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“.

ნება მომეცით წაგიკითხოთ ამ კანონის პროექტი.

„კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“.

ნება მომეცით ამ კანონის პროექტი.

„საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებს სახალხო კონტროლის ორგანოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ წარდგინება შემოიტანა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

ნება მომეცით გამოვაქვეყნო ეს წარდგინება.

„საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გთხოვთ დანიშნოთ ამხ. მიტროფანე იონას-ძე კუჭავა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ და გაათავისუფლოთ იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი“.

ამხანაგო დეპუტატებო! შესაბამისი კანონებისა და დადგენილებების პროექტები თქვენ მიღებული გაქვთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ და დაამტკიცოთ ეს კანონები და დადგენილებები.

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის

შ. ე. გუხრაშვილის

სიტყვა

მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო ყარმოების ეკონომიური სტიმულირების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა თბილისს მშრომელებმა, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხმა, დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინა. ისინი უდიდესი მოწონებით შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. თბილისის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა, ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, 102,6 პროცენტით შეასრულეს თვრამეტი თვის გეგმა და სამშობლოს მისცეს 15.592 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

წელს სამშენებლო ორგანიზაციებმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით დიდი მუშაობა გაწიეს საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. წინასწარი გაანგარიშებით „კაპიტალურმა დაბანდებებმა საქალაქო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროდან წელს მიაღწია 59 მილიონ მანეთს, ანუ 14 პროცენტით მეტს, ვიდრე წარშან. სულ უფრო კეთილშოწყობილი და ლამაზი ხდება საქართველოს დედაქალაქი. მწყობრში დგება ახალი საწარმოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამ დღეებში საეკსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგი, რაც უეჭველად ღირსეული საახალწლო საჩუქარი იქნება ქალაქის მშრომელებისათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის.

გაისად თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებას ახალშენებლობათა დაფინანსების ყველა წყაროდან მოხმარდება 64.333 ათასი მანეთი, რაც 9 პროცენტით აღემატება წლევანდელ კაპიტალურ დაბანდებებს. 1966 წლის გეგმის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია აღმასკომის ხაზით თბილისში აშენდეს 254.400 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

გენერალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით განხორციელდება რუსთაველის საბჭოს ბიბლიოთეკის ... ლის პროსპექტის, აგრეთვე ლენინის და მელიქიშვილის ქუჩების გადაკეთებაზე მდებარე მოედნის რეკონსტრუქცია, გაკეთდება მიწისქვეშა გადასასვლელები ლენინის მოედანზე, ჩელიუსკინელთა და კლარა ცეტკინის ქუჩების გადაკეთებაზე, დამთავრდება ოცსართულიანი სასტუმრო „ინტურისტისა“, რადიოსა და ტელევიზიის სახლის, ვაჟას პარკის კასკადის მშენებლობა და სხვა სამუშაოები.

ორატორი აღნიშნავს, რომ სესიის განსახილველად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თბილისის ბიუჯეტი განსაზღვრულია 98.335 ათასი მანეთის მოცულობით, რაც ძირითადად სწორად ითვალისწინებს საქალაქო მეურნეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მისი ყველა დარგის შემდგომ განვითარებას. ამასთანავე ამხ. ბუხრაშვილი სთხოვს სესიას დამატებითი სახსრების გამოყოფას საქალაქო მეურნეობის კადევ უფრო მძლავრი განვითარებისათვის, თბილისის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის.

დეპუტატ

ბ. ვ. შინკუბას

სიტყვა

აფხაზეთის ... ... დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში გეგმებმა სკკპ XXIII ყრილობაა და საქართველო კომპარტიის XXIII ყრილობა. საძოგენელო საყოფაცხოვრებო, კულტურულ-საგანმანათლებლო და საბჭოთა მეურნეობებში განაღებულია შემოქმედებითი ძრომა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. შვიდწლედის განმავლობაში აფხაზეთის ძრეულელობა გადაკრობებით ასრულებდა საკოფტროლ ციფრებით გათვალისწინებულ გეგმებს. გასული ექვსი წლისა და თვითმეტი თვის განმავლობაში გაძოშვებულია 25 მილიონზე მეტი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ეადამდე, 10 დეკემბრისათვის, შესრულეს შვიდწლედის დავალება ინდუსტიიული ქალაქის—ტყვარჩელის შრომაქალებმა. ამაზე ერთი დღით ადრე კი შვიდწლედი შესრულა სოხუმის ძრეულელობამაც.

ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრენი სულ უფრო ფართო მასშტაბით ხმარდება მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურს. დღეს აფხაზეთი ჯანმრთელობის არა მარტო კლიმატური კერაა, არამედ კლიმატურ-ბალნეოლოგიური კერაც. აქ არის 150-ზე მეტი მინერალური სამკურნალო წყარო. ბევრი მათგანი უნიკალურია და უკვე მოიპოვა ფართო პოპულარობა. გაიზარდა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, კემპინგების, ტურისტული ბაზების ქსელი.

დეპუტატი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გასახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. იგი გამოთქვამს მოსაზრებებს რესპუბლიკის მომავალი წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

უკანასკნელ წლებში აფხაზეთში მნიშვნელოვანი სამშაოებია შესრულებული ქალაქების კეთილმოწყობისათვის. მაგრამ სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის კეთილმოწყობილი. კეთილმოწყობელია ახალი ათონი, კანდიადი, ლესელიძე, რიწა-აუადხარა და სხვა კერორტები. მათი კეთილმოწყობისათვის ძალიან მცირე სახსრებია გამოყოფილი.

აფხაზეთის სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას დიდი პერსპექტივები აქვს. მაგრამ მთელი რიგი ძირფესვი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოების ზრდა ჯერ კიდევ ყოვნდება იმის გამო, რომ მოწყობილი არა გვაქვს ხელოვნური რწყვა. საჭიროა ამ მიზნებისათვის გამოიყოს დამატებითი სახსრები. აგრეთვე აუცილებელია **უნდა** დაეთმოს სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციას. უკანასკნელ ხანებში ბევრი ასეთი მანქანა გამოჩნდა ჩვენში. მაგრამ პრაქტიკულად სამთო ტექნიკამ ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა ფართო გავრცელება. მთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ესაჭიროებათ ტრაქტორები „ს-100“.

დეპუტატი სთხოვს სესიას დამატებითი სახსრების გამოყოფას აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო-პროფილაქტიკური მშენებლობის გაფართოებისათვის, სამეურნეო მშენებლობისათვის.

დეპუტატ

ც. ლ. გელაშვილის

სიტყვა

ზესტაფონის რაიონის ეკონომიკის ძირითადი წყარო მეეფეხსაობაა. უკანასკნელ წლებში მისი განვითარებისათვის ბევრი რამ გაკეთდა. შესაბამისად იზრდება ყურძნის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მაგრამ რაიონის მშრომელები სოფლის მეურნეობის ამ დარგში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდნენ, გადაჭრილი რომ იყოს სამეურნეო-ტექნიკური ხასიათის მთელი რიგი საკითხები.

ჯერ კიდევ უხარისხოა საყრდენი რკინაბეტონის ბოძები, მათი ფასი კი მაღალია. დიდია სხვაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდი შაბიამნის ფასებში. აუფრქნს კი სახელმწიფოს ორივე ერთ ფასად აბარებს. ეს მდგომარეობა არა მარტო უკმაყოფილებას იწვევს, არამედ უპატიოსნო ადამიანების მეწინააღმდეგეობას უწყობს ხელს. მართალია, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადაიჭრას.

რაიონში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, განსაკრძობს დეპუტატი, ბიუჯეტის შესრულება თერთმეტ თვეში უზრუნველყოფილია. შესრულებული იქნება აგრეთვე წლიური გეგმა როგორც შემოსავალს, ისე გასავლის ნაწილში. 1966 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია რაიონის. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების სრული შესაბამისობით. მაგრამ ამასთანავე ბიუჯეტის 1966 წლის პროექტით გათვალისწინებული ასიგნობანი ვერ უზრუნველყოფენ რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ნორმალურ დაფინანსებას. კერძოდ, საჭიროა ქალაქის კეთილმოწყობისათვის გამოიყოს დამატებითი სახსრები. ზესტაფონში მოგვარებული არ არის საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის საკითხი. დღემდე ღიად არის დარჩენილი საკითხი ქალაქში რკინიგზაზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობის შესახებ. ამ ხიდის აშენება კი საესებით აუცილებელია. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა რაიონში სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციული შენობებით უზრუნველყოფის საქმეში.

. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ლ. მ. დავითაძის

სიტყვა

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რომლებმაც დასახეს დიდმნიშვნელოვანი საპროგრამო ღონისძიებანი მეეფეხეობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად თავდადებით იბრძვიან აჭარის მშრომელნი.

აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს გაცილებით უკეთ და უფრო ადრე შეასრულეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გაგვეფართოებინა და წარმატებით შეგვასრულებინა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მიერ შვიდწლედის ძირითად დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებები შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: ჩაის დამზადების შვიდი წლის გეგმა შესრულებულია 108,2 პროცენტით. შვიდწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეცა 15 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ციტრუსოვანი კულტურების განვითარების დარგშიც. აჭარის კოლმეურნეობებმა და სახელმწიფო მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს შვიდწლიანი გეგმები დაფნის ფოთლის, ხილის, ხორცის, რძის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის წარმოებისა და დამზადების დარგში.

სასახელოა წარმატებებია მოპოვებული მეფუტკრეობაშიც. აჭარის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულეს, ხოლო მიმდინარე წლის 11 თვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ შვიდწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

შვიდწლედის განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში, გაფართოვდა ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების, კინოთეატრების ქსელი.

ამხ. დავითაძე მიღწეულ წარმატებებთან ერთად აღნიშნავს ნაკლოვანებებსაც. კერძოდ, არასაკმაო მუშაობა წარმოებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

სასოფლო მშენებლობა აჭარაში ყოველწლიურად ფართოვდება. ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია და ერთი მექანიზებული კოლონა, რომლებიც ოკლებული არიან ერთიან კვალიფიციურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს. ორატორი აყენებს წინადადებას — აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნას სასოფლო მშენებლობის სამმართველო, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ ორგანიზაციებს და დიდ როლს შეასრულებს სასოფლო მშენებლობის ორგანიზებულად წარმართვის საქმეში.

დეპუტატ

ა. ლ. ვარდოშვილის

სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დღევანდელ სესიის მუშაობა ეხებოდა იმ პერიოდში, როცა შვიდწლედის უკანასკნელი წლის დამთავრებამდე დღეებიღა დარჩა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმიდან ერთ წელზე მეტი დრო გავიდა. და ჩვენ სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით, თუ რა ღრმა მეცნიერული საფუძველი შეუქმნა მან მოძწიფებული სახალხო-სამეურნეო **პრობლემების** გადაწყვეტას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა, რომელმაც შეიმუშავა სოფლის მეურნეობის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ღონისძიებანი, სოფლად დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

თვლავის რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულების საქმეში. წელს მარშანდელთან შედარებით ყურძნის წარმოება გაიზარდა 2,9-ჯერ. გადაჭარბებით არის შესრულებული მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმა, გაზრდილია პორტყვის სულადობა, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ აგრეთვე სამრეწველო, საშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციების კოლექტივები. მათ უკვე გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმები. ახლა რაიონის მშრომელები თავდადებულად შრომობენ სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

შემდეგ დეპუტატი აღნიშნავს, რომ ზემო აჭარის არის მშენებლობაზე სამუშაოები ფართო ფრონტით გაიშალა. მაგრამ აქ დიდი სიძნელეებია გვაქვს ავტოტრანსპორტის ნაკლებობის გამო. საჭიროა „ალაზანმშენისათვის“ შეიქმნას სოციალური სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა 200-250 ავტომანქანით. საჭიროა აკურისა და კურდღელაურის ღვინის ქარხნების გაფართოება, არსებული ყურძნის ძმიღება სათავსების რეკონსტრუქცია. რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დეპუტატი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ გამოიყოს სახსრები მადლმოთანი კურორტის „თორღვას აბანოს“ კეთილმოწყობისა და იქ საკურორტო მშენებლობის გაფართოებისათვის.

დეპუტატ

ზ. ნ. ბასილეიშვილის

სიტყვა

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს შვიდწლედის დავალებანი და კარგ შედეგებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კაპიტალური მშენებლობის, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საქმეში. მაგალითად, შვიდწლედის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა თითქმის 60 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. ოქტის სამრეწველო საწარმოებმა მიმდინარე წლის 11 თვის გეგმა შეასრულეს 106 პროცენტით, გამოუშვეს 500 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ოქტის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა 11 თვეში შესრულებულია: მარცვლეული კულტურების დარგში. — 102,4 პროცენტით, ხორცისა — 99,8 პროცენტით, მატყლისა — 106,6 პროცენტით, კვერცხისა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მექანიზატორთა შრომითი გამარჯვება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ ვადამდე, 20 დეკემბრისათვის, შეასრულა ყველა სახეობის სამუშაოთა წლიური გეგმა. „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანებათა და განყოფილებათა მატერიალურ-ტექნიკურმა უზრუნველყოფამ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ გაიზარდა, საქმის კარგმა ორგანიზაციამ ფართო შესაძლებლობანი დასახა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დახმარება გაუწიოთ მინდვრების, პლანტაციების, ბაღების, ბოსტნების, მეცხოველეობის ფერმების სამუშაოთა მექანიზაციაში. შესრულდა მექანიზებულ სამუშაოთა წლიური გეგმა. ამ სამუშაოთა ღირებულება თითქმის ხუთი მილიონი მანეთია, რაც დავალების 109 პროცენტს შეადგენს. წლის განმავლობაში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს 1.223 ათასი მექანარი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო რბილ სახნავზე გაანგარიშებით, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 1.200 ათასი მექანარი.

„საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა სარემონტო სახელოსნოებში ტრაქტორების, კომბაინების, მიხაბმელი ინვენტარის შეკეთების საერთო თანხა შეადგენს 6.054.700 მანეთს, რაც 311 ათასი მანეთით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთის ავტოტრანსპორტით გადაზიდვის დავალება.

დიდი მუშაობა განხორციელდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი სახეობის სამუშაოთა გეგმა 101,9 პროცენტით შესრულდა.

მნიშვნელოვნად გადიდდა ახალი ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, საშენი მასალებისა და სხვა საქონლის მიყიდვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. გაიყიდა 84.514.500 მანეთის ეს საქონელი.

წლიური დავალების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის, მახარაძის, გურჯაანის, ზესტაფონის, საჩხერის, დუშეთის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გარდაბნის, ვანის, თერჯოლის, მარნეულის გაერთიანებებმა და განყოფილებებმა.

„საქსოფლტექნიკის“ გაერთიანებათა და განყოფილებათა კოლექტივებმა, რომლებიც ჩაებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომ მოამზადონ ტექნიკა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხუთწლედის პირველ წელს უხვი მოსავლის მოყვანაში. (საქდესი).

პირობა შესრულებულია

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქთამბაქოს“ საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი გალდებულება და 20 დეკემბრისათვის სამშობლოს უპატაკეს ფერმენტირებული თამბაქოს, პაპიროსისა და სიგარეტის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება. მეთამბაქეოთა გადაწყვეტილებაა წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში დაწინაურდნენ თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის (დირექტორი ა. კეკელია), ლაგოდეხისა და განთიადის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების (დირექტორები ვ. გველესიანი და ა. მარქარიანი) კოლექტივები.

იწურება 1965 წელი. ახალი წელი ჯერ კიდევ გზაშია, მაგრამ ქ. თბილისის მაღაზიის ვიტრინებიდან მან უკვე გამოიხედა. გაიხარეს ბავშვებმა დათოვლილი და ოქროსფერი ბრეზენტალა სათამაშოებით დახუნძლული ნაძვისხით... მოდის კეთილი თოვლის პაპა დატვირთული საახალწლო ხაჩუქრებით.

რამდენი სიხარული მოაქვს მას ბავშვებისათვის.

მადლობა ძველ წელს, კეთილი იყოს ახალი წლის მობრძანება!

გაიღეთ კარი, დე ბავშვებმა აქ შეიძინონ ყველაფერი, რაც საახალწლო ნაძვისხის მოსართავად არის საჭირო.

სურათზე: თბილისის მელიქიშვილის ქუჩაზე მაღაზია „ნორჩი ტექნიკოსის“ ვიტრინასთან.

ტექსტი და ფოტო გ. გოგოხიასი.

ბარბაზობა მ. ა. შოლოხოვის პატივსაცემად

მოსკოვი, 22 დეკემბერი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს დარბაზობა გამართა ნობელის პრემიის laureატის მ. ა. შოლოხოვის პატივსაცემად.

დარბაზობათა სახლს ესტუმრნენ მწერლები, პოეტები, დრამატურგები, კრიტიკოსები, მეცნიერების მოღვაწენი, ხელოვნების ოსტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ს. ტიხონოვმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიხეილ შოლოხოვი ჭეშმარიტად სახალხო მწერალია, მისი წიგნები საბჭოთა ლიტერატურის სიამაყე, ჩვენი ეპოქის შესანიშნავი დოკუმენტებია.

მწერლები ს. ვ. მიხალკოვი, პ. უ. ბროვკა, სანიმ მუკანოვი, კინორეჟისორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ო. მონდარრუკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, მოწინავე მწერალი „წყნარი დონის“ მონოლოგურ ენაზე მთარგმნელი ბაზარინ დაშკევრნი და ფილმ „წყნარ დონში“ გრიგოლ მელეხოვის როლის შემსრულებელი პ. პ. გლებოვი შოლოხოვს გულთბილად მიესალმნენ.

მ. ა. შოლოხოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა მწერალთა კავშირს, რომელმაც ეს შეხვედრა მოაწყო, აგრეთვე ყველა შეკრებილთ.

დარბაზობამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

მ ო კ ლ ე დ

● **მაიაკოვსკი.** 200-ზე მეტი შემსრულებელი მონაწილეობდა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა რაიონულ დათვალიერებაში.

გამარჯვება ხვდა სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ლოტბარი პ. ბუხაიძე, ქორეოგრაფი თ. ჟიგინაძე), მეორე ადგილი ქიურიმ მიაკუთვნა წითელხევის, ხოლო მესამე — ზეგნის სასოფლო კლუბებთან არსებულ თვითმოქმედ კოლექტივებს.

გ. მუკუბანაძე.

● **მახარაძე.** (საკ. კორ.). სოფელ ნატანების კულტურის სახლის დრამატულმა წრემ ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ა. დეკვიძის „სადიპლომო სპექტაკლი“.

● **ზნაურის** რაიონის სოფელ წულის კოლმეურნე კომკავშირელებმა კონცერტი გამართეს ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის მოსახლეობისათვის.

მათ მაყურებელს უჩვენეს სუნდუკიანის კომედია „მატყუარა“, გ. ბერძენიშვილის „ქაღალდის კაცი“, შესრულებულ იქნა აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერები.

ჯ. ხაჰაპაშვილი.

ვირგილიუს ფაზეკეთსოდ

პატარა წიგნი ერთ ადამიანზე

საქართველოს სსრ ანალელი საბჭოს დეპუტატი, საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი ნიკო ყოჩიაშვილი თითქმის ოცი წელიწადია უნარიანად ხელმძღვანელობს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას. ამ ხნის მანძილზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინა, და კარგი იქნება, თუ სოფლის ხელმძღვანელი მუშაკები, მშრომელები მეზღვასმით წაიკითხავენ ამ პატარა წიგნს, რომელიც ეხება დიდსა და საჭირო საკითხს. (ნ. ყოჩიაშვილი „რეზერვები მოქმედებაში“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965 წ.).

ავტორი საქმის ცოდნით, სიყვარულით მოუთხრობს მკითხველს ჯაფარიძელთა შრომა-საქმიანობაზე, იქაურ მეცხოველეთა წარმატებებზე, სოფლის მშრომელთა შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებაზე.

იგი 1946 წელს 23 წლის ახალგაზრდა აირჩიეს სოფლის თავმაცად. „რას წარმოადგენდა მაშინ ჩვენი კოლმეურნეობა? ძროხის საშუალო წველადობა 400 კილოგრამს არ აღემატებოდა, მეტად მცირე იყო შრომადღის ხელფასი, იგონებს ნ. ყოჩიაშვილი და მერე დასძენს, რომ კოლმეურნეობის ეკონომიკის მძლავრ აღმავლობას დაეხმარა მოწინავეთა გამოცდილება და მინდობილი საქმისადმი კომუნისტური მიდგომა. „გამოცდილება — აი ის მთავარი ბერკეტი, რომელმაც კოლმეურნეობის წინამძღოლობა შემაძლებინა“, — წერს იგი.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა კარგახანია მოწინავეთა რიგებშია. აქ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი შემოსავლიანი და რენტაბელურია, შრომადღის ღირებულება კი ისე დიდია, რომ ყველა გამრჯე კოლმეურნე შეძლებულად, კულტურულად ცხოვრობს. სახელმწიფოს წინაშე ჯაფარიძელები ვალში არასოდეს არ რჩებიან. ასე იყო წელსაც — ყურძნის, მარცვლეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები დიდი გადაჭარბებით შესრულდა.

ახლა სოფელი ჯაფარიძე დიდად არ განსხვავდება დაბა-ქალაქისაგან. ეს ახარებს ყოველ ჯაფარიძელს, ეს ახარებს კოლმეურნეობის ნაგად წინამძღოლსაც. „მიხარია, რომ ჩემი სოფელი ქალაქსა ჰგავს. ჰგავს კი არა, არაფრით არ ჩამოუვარდება... საღამოობით, როცა სოფელში ბინდი ეშვება, კოლმეურნეები ნაგახშმევს ხალისით შემოუსხდებიან ტელევიზორებს და ცისფერ ეკრანზე სედავენ თბილისს, მოსკოვს, ლენინგრადს, კრასნოდარსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებს“.

კარგი ქართულითა და საქმის ცოდნით დაწერილი წიგნი „რეზერვები მოქმედებაში“ სოფლის მშრომელებს დიდად დაეხმარება წარმატებათა მოპოვებაში, რეზერვების ამოქმედებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

ვ. რჩეულიშვილი.

ხალხური პოეზიის საამყაროში

ალექსანდრე დეიჩი

ქანარის კუნძულების შორიახლო საოკეანო გემზე რუსმა პოეტმა კ. ბალმონტმა გასული საუკუნის ბოლოს გიიცნო ერთი ინგლისელი, რომელმაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის კორექტურა გადასცა. ამ თარგმანმა, შესრულებულმა შემთხვევითად გაცნობილი ინგლისელის დის, მარჯორი სკოტ-უორდროპის მიერ, აღაფრთოვანა ბალმონტი და გადაწყვეტინა რუსულადაც ეთარგმნა ეს პოემა, რომელიც მანამდე არც გაეგონა.

იმ დროისათვის მეტად დამახასიათებელი და გასაკვირველი სურათია: რუსეთის იმპერიის ხალხებმა ისე ცოტა რამ იცოდნენ ერთმანეთისა სულიერ საგანძურთა თვალსაზრისით, რომ მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ შეუწყო ხელი ამ დიდი პოემის პირველ რუსულ თარგმანს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში უდიდესი შრომაა გაწეული ხალხური საგმირო თქმულებების შესაგროვებლად, ჩასაწერად, დასამუშავებლად და სათარგმნელად.

„ვეფხისტყაოსანი“ რუსულად რამდენჯერმე ითარგმნა; სომხური ეპოსი „დავით სასუნელი“, უზბეკური „ალპამიში“, ყირგიზული „მანასი“, ოსური, ყაბარდოული და აფხაზური თქმულებები „ნართებზე“, ყალმუხური „ჯანგარი“ დღეს ფართოდ ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში. საუკუნოვანი სახელი და უკვდავება ეროვნულ ხასიათებად ქცეული გმირი გოლიათებისა სიცოცხლეს მარად უჭკნობ და დიდებით მოსილ პოეტურ სახეებში განაგრძობენ.

და ინ ახლა ᲝᲣᲜᲔᲚᲘᲡᲗᲘᲡ თაოსნობითა და მხარდაჭერით პარიზის გამომცემლობა „გალიმარმა“ ფრანგულად გამოსცა საბჭოთა ხალხების გმირული ეპოსის მთავარი ძეგლები: კრიალა გარეკანანი ოთხი მდიდრული წიგნი — „ვეფხისტყაოსანი“, „დავით სასუნელი“, „გმირების წიგნი“ (ოსური „ნართები“) და ერთი ეპოსოდი „მანასიდან“, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ტრამალთა გოლიათის ერ-თიოშთიუკის მიწისქვეშა და სხვა საოცარი სათავგადასავლო ამბები“.

რაც შეიძლება ზუსტი და კომენტირებული ფრანგული თარგმანების შესაქმნელად შრომობდნენ მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნეები და მთარგმნელები, რომლებიც თავიანთი საბჭოთა კოლეგების კონსულტაციით სარგებლობდნენ. მუშაობა მიმდინარეობდა უშუალოდ ორიგინალების მიხედვით, უპირველოდ და რუსული პოეტური თარგმანების გამოუყენებლად...

იმ წიგნთა შორის, რომლებიც გაერთიანებულია სერიის პირობითი სახელწოდებით „კავკასია“, უნდა აღინიშნოს სერგი წულაძის შთაგონებული მუშაობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“.

სერგი წულაძე, რომელიც სრულყოფილად ფლობს ორ ენას—მშობლიურ ქართულსა და ფრანგულს და რომელსაც მიღებული აქვს ორმაგი განათლება საფრანგეთში — სამედიცინო და ფილოლოგიური, თითქოს სწორედ ასეთი დიდი მეცნიერულ-პოეტური შრომისათვის არის დაბადებული. უკვე ბრწყინვალედ დაწერილ საფუძველიან წინასიტყვაობაში გამოავლინა ს. წულაძემ შესანიშნავი სტილისტისა და ეროუდირებული მეცნიერის თვისებები. ს. წულაძეს სურს მიუახლოოს დასავლეთის მკითხველი ქართველი პოეტის შეუდარებელ ქმნილებას. იგი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ჩვენთვის ნაცნობ რამდენმე მომენტს ადარებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის თანამედროვის, XII საუკუნის ცნობილი პროვანსელი ტრუბადურის ბერნარდ დე ვენტადორის (ვენტადორნის) ცხოვრებას. რა ვუყოთ, რომ ამ მსგავსებას წმინდა გარეგნული ხასიათი აქვს. სამაგიეროდ მკითხველი ესისხლხორცებას იმ დროს, როცა იქმნებოდა პოემა, და პოეტური ასოციაციების გზით სწვდება თვით ქმნილების იდუმალ აზრს.

საფრანგეთში ძველთაგან არსებობს სხვათა პოეზიის პროზად, ზოგჯერ ოდნავ რიტმგარეული თარგმნის ტრადიცია. გავიხსენოთ, რომ პროსპერ მერიმე პუშკინის „ბოშებს“ თარგმნდა პროზად. ისევე როგორც ჟერარ დე ნერვალი — ჰაინეს ლირიკას. სენტ-ბეკი, რომელიც ერთ დროს ლიტერატურული სული. ალადინიკოს იოსებ ორბელიეს შესავალ წერილში მოცემულია სომხური ეპოსის ნათელი, ღრმაშინაარსიანი დახასიათება.

ოსური ხალხური ეპოსის „თქმულება ნართებზე“ პროზაული ვარიანტი გამოცემულია „კოლეჟ დე ფრანსის“ მასწავლებლის ჟორჟ დიუმეზილის თარგმანით. თარგმანი გადაუთვალიერებია და ჩაუკითხავს ნართული ეპოსის ცნობილ საბჭოთა მკვლევარს აკადემიკოს ვ. აბაევს. ეს გამოცემაც იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა გულმოდგინებით უმუშავნია ფრანგ აღმოსავლეთმცოდნეს, რომელსაც ნართული ციკლები ოსური ორიგინალიდან უთარგმნია. ჟორჟ დიუმეზილს ფრანგი მკითხველი შეჰყავს სამყაროში, რომელშიც თავისი მოლიანობით ბრწყინავს რეალობაც და ფანტასტიკაც. პროზაულ თარგმანში შენარჩუნებულია უძველესი ამბის მკაცრი სისადავე და ბუნებრიობა. დიუმეზილს უთარგმნია თქმულების ყველა ძირითადი ციკლი, რომლებიც დასათარეულია გმირთა სახელებით.

„კავკასიის“ სერიის ოთხ წიგნში წარმოდგენილი პოეზიის მთელი ეროვნული სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც არის ის საერთო, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა ხალხისა და დროის საგმირო ეპოსისათვის: გოლიათები დაბადებიდანვე გამოირჩევიან ზებუნებრივი ძალით, მაგიური უფნებლობით, გმირული საქმეებით, რითაც ისინი დიდებას იხვეჭენ. ვ. მ. ჟირმუნსკიმ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „სახალხო საგმირო ეპოსი“ ლ ფ ე რ ოვნება. ომის დროს წინაალმდეგობის მონაწილეთა შორის რომ იბრძოდა, სერგი წულაძეს წუთითაც არ სტოვებდა სამშობლოში დაბრუნების იმედი. და ახლა, როცა იგი თბილისშია და ეკმაბდ მუშაობს, მან საჩუქრად უძღვნა ფრანგ მკითხველს თავისი ნიჭის ნაყოფი — „ვეფხისტყაოსნის“ სტილისტურად ნატიფი და მაღალმხატვრული თარგმანი. საფრანგეთის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ს. წულაძის შრომის უცილობელი ღირსებანი „ლანგლუას პრემიის“ მინიჭებით აღნიშნა...

„კავკასიის“ სერიის მეორე ნაკვეთში ჩვენ ვხვდებით „დავით სასუნელის“ თარგმანს, რომელიც ეკუთვნის პარიზის ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ნაციონალური სკოლის პროფესორს ფრედერიკ ფეიდის.

ფ. ფეიდის თარგმანში ფრანგი მკითხველი თითქოს გრძნობს გმირულ ნაბიჯებს გოლიათებისა, რომლებიც ხალხის საკეთილდღეოდ იბრძოდნენ შავბნელ და ბოროტ ძალებთან: ეპოსის მითოლოგიური ელემენტები შერწყმულია ისტორიულ ამბებთან, და ერთი შეხედვით სადა თხრობაში შესანიშნავად არის ჩართული ნოსტალგიანი სახეები და მეტაფორები. წინასიტყვაობაში ფ. ფეიდი წერს: „ჩვენ ვცდილობდით შეგვექმნა რაც შეიძლება ზუსტი თარგმანი, თანაც შეგვენარჩუნებინა ხალხური სტილის თავისებურებანი; სახეები და მეტაფორები, რომლებიც ფრანგულ თარგმანშია, ძირითადად ორიგინალის ხალხურ მიმოქცევაზეა ზუსტ ასლებს წარმოადგენენ; სადაც ეს შეუძლებელი იყო, ასეთ შემთხვევებში სომხური მეტაფორები ახსნილია შენიშვნებში“.

მაგრამ ასეთი აწყარედული შენიშვნები ბევრი როდია. ფ. ფეიდის დიდი ოსტატობა გამოუჩენია და მიუღწევია იმისათვის, რომ ფრანგ მკითხველამდე მიეტანა ბუფტეკიც, ეპიკური მოქნილობაც და მახვილი ხუმრობაც, არ დაეკარგა პოემისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ეროვნული სული. აკადემიკოს იოსებ ორბელიეს შესავალ წერილში მოცემულია სომხური ეპოსის ნათელი, ღრმაშინაარსიანი დახასიათება.

ოსური ხალხური ეპოსის „თქმულება ნართებზე“ პროზაული ვარიანტი გამოცემულია „კოლეჟ დე ფრანსის“ მასწავლებლის ჟორჟ დიუმეზილის თარგმანით. თარგმანი გადაუთვალიერებია და ჩაუკითხავს ნართული ეპოსის ცნობილ საბჭოთა მკვლევარს აკადემიკოს ვ. აბაევს. ეს გამოცემაც იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა გულმოდგინებით უმუშავნია ფრანგ აღმოსავლეთმცოდნეს, რომელსაც ნართული ციკლები ოსური ორიგინალიდან უთარგმნია. ჟორჟ დიუმეზილს ფრანგი მკითხველი შეჰყავს სამყაროში, რომელშიც თავისი მოლიანობით ბრწყინავს რეალობაც და ფანტასტიკაც. პროზაულ თარგმანში შენარჩუნებულია უძველესი ამბის მკაცრი სისადავე და ბუნებრიობა. დიუმეზილს უთარგმნია თქმულების ყველა ძირითადი ციკლი, რომლებიც დასათარეულია გმირთა სახელებით.

„კავკასიის“ სერიის ოთხ წიგნში წარმოდგენილი პოეზიის მთელი ეროვნული სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც არის ის საერთო, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა ხალხისა და დროის საგმირო ეპოსისათვის: გოლიათები დაბადებიდანვე გამოირჩევიან ზებუნებრივი ძალით, მაგიური უფნებლობით, გმირული საქმეებით, რითაც ისინი დიდებას იხვეჭენ. ვ. მ. ჟირმუნსკიმ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „სახალხო საგმირო ეპოსი“ დალური ეპოსი, ფრანგული და ესპანური ეპიკური პოემები, რუსული ბილინები (საგმირო თქმულებები), სამხრეთსლავური „უუნკათა სიმღერები“, თურქული და მონღოლური ხალხების დევგმირული ეპოსი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეპიკური თქმულებები ნართებზე, კარელ-ფინური „კალევალა“ და არსებით მსგავსებაში, რასაკვირველია, იგულისხმება არა მარტო სიუჟეტურ სიტუაციათა შეპირისპირება-შედარება, არამედ ეპიკური პოემებისა და თქმულებების იდეური მიანაარსი, რომელშიც გამოხატულია ყველა ხალხისათვის საერთო თვისებები — თავისუფლებისმოყვარეობა, გმირობა, კეთილშობილება და სამშობლოს სიყვარული.

უფსკრული, რომლის აღმოჩენასაც ბევრი ბურჟუაზიული მეცნიერი ლამობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, არ არსებობს. საფუძვლიანად დამტკიცებულია, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურები ვითარდებოდა სოციალურ-საზოგადოებრივ კანონზომიერებათა ერთიანი პროცესით. კავშირი და ურთიერთმოქმედება ამ ლიტერატურათა შორის მორეულ წარსულში წარმოიშვა და უწყვეტი „ისტორიული ზონარივით“ მოვიდა ჩვენს დღეებამდე. და ამ გარემოებას რომ ვითვალისწინებთ, შეიძლება თუ არა გაუმართლებლად ჩავთვალოთ „კავკასიის“ სერიის გამომცემელთ, რომ მათ აქ შეუტანიათ ყირგიზული ეპოსის „მანასს“ — „ერ-თიოშთიუკის“ ეპიზოდიც? საგამომცემლო ანოტაციაში მოცემულია საკმაოდ ბუნდოვანი ახსნა, რომ კავკასია არის „არა მარტო მთიანი ქედი, არამედ მრავალტომიანი ქვეყანა, რომელზეც გადიოდა გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით. ამიტომ გამომცემლებმა სერიაში შეიტანეს მცირე და შუა აზიის ლიტერატურათა მეგლებიც, როგორც კავკასიასთან კულტურით დაკავშირებული. რამდენადაც საკამათო უნდა იყოს სერიის გამომცემელთა ასეთი ვარაუდები, მაინც „ერ-თიოშთიუკის“ გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა. პოემა დევგმირ მანასის თანამებრძოლზე ერ-თიოშთიუკზე, რომელშიც მოთხრობილია მისი თავგადასავალი მიწისქვეშა სამყაროში, სხვადასხვა სიდიდის მრავალი ვარიანტის სახით არის მოღწეული. პოემის ფრანგულ ენაზე მთარგმნელს პერტეგ ბორატევს გამოუყენებია პოემის ყველაზე სრული ნაკრები ტექსტი და ეარმატებით უთარგმნია ვერსია, რომელსაც ასრულებს მთქმელი („მანასჩი“) საიკბაი კარალაევი. მთარგმნელი პერტეგ ბორატევი და ფრანგი ორიენტალისტი ლუი ბაზენი, რომელსაც თვითონ მოუსმენია „ერ-თიოშთიუკის“ ცოცხალი შესრულება, გამოთქვამენ თავიანთ აღფრთოვანებას საიაკბაი კარალაევის ხელოვნების გამო.

იმედი უნდა ვიქნიოთ, რომ გამომცემლობა გალიმარის საუკეთესო წამოწყება იუნესკოს ხელშეწყობით თავის გაგრძელებას ჰპოვებს. ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთობის განმტკიცებას, მათი სულიერი სიმდიდრის და საგანძურის გაცნობას, ურთიერთგაგებისა და კულტურული კავშირ-ურთიერთობის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

სახალხო-საგმირო პოეზია, რომელშიც ხორცშესხმულია ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის მაღალი პრინციპები, განუხრელად მოგვიწოდებს მშვიდობისა და მეგობრობისაკენ.

„ლიტერატურნაია გაზეტა“, 21 დეკემბერი, 1965 წ.

ევროპის ჩემპიონთა თასზე

გრძელდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. პრიზისათვის მებრძოლთა რიგებს შემორჩა რვა უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც გაყოფილია ორ ქვეჯგუფად.

პირველ ქვეჯგუფში შედიან: მადრიდის „რეალი“, ბილანის „სმენტნაია“, ჰარაგის „სლავია“ და ბელგიის „რეისინგ მელინნი“; მეორე ქვეჯგუფში გამოდიან—მოსკოვის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, იუგოსლავიის „ზადარი“, სოფიის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი და ათენის „აეკი“.

ასპარეზობა ქვეჯგუფებში მოიწყობა ორ წრედ, მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე. გამარჯვებულებისაგან შედგება ფინალური წყვილი, სადაც გათამაშდება თასი ნეიტრალურ მოედანზე ერთ მატჩში.

მოსკოვის ცსკა-ს პირველი ორი მატჩი ექნება სოფიის ცსკა-სთან 13 და 20 იანვარს. პირველი შედგება მოსკოვში, მეორე — სოფიაში.

კვლავ გამარჯვება

ალჟირი, 23 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ქალაქ კონსტანტინში მეორეჯერ დაამარცხა ალჟირის ეროვნული ნაკრები ანგარიშით 1:0.

სპორტული ქრონიკა

☐ **რიგასა** და **კაუნასში** გრძელდება სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. ცსკა-მ დაამარცხა რიგის სკა 67:56 და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. კაუნასის ჯგუფში ლიდერია თბილისის „დინამო“, რომელმაც სტარტზე ორი შეხვედრიდან ორივე მოიგო.

☐ **ტალინში** დაიწყო სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. აქ ოქროს მედლის პირველ პრეტენდენტად თვლიან საქართველოს გუნდს, რომლის შემადგენლობაში არიან: ალიბეგაშვილი, ქარსაულიძე, ბერიაშვილი, ხაღარაძე, ლომიძე და სხვ.

☐ **მინსკში** დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. მჩატე წონაში წარმატება მოიპოვა ვ. სმეტანინმა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ სპორტი

ლ. ᲨᲐᲢᲕᲘᲜᲘ— სსრ კავშირის ჩემპიონი

გუშინ ტალინში გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელი მეცხრამეტე ტური.

ფინიშთან პირველ რიგში ყურადღებას იპყრობდა ლიდერის — გროსმაისტერ **შატვინის** პარტია **ბუხვალთან.** შატვინი თავიდანვე აგრესიული ბრძოლისათვის იყო განწყობილი და დებიუტდანვე პერსპექტიული პარტია მიიღო. ბუხმანის პოზიცია მეტად ძმიმე იყო, ამასთანავე აქ საქმეში ჩაერია ციტადელი, ბუხმანმა გადაიცილა დროს და წაგება ჩაეთვალა.

ამრიგად, ლვოველმა გროსმაისტერმა **ლეონიდ შატვინმა** 19 შესაძლებლიდან 14 ქულა შეაგროვა და მეორეჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ **1965 წ.** 24 დეკემბერს დილის 11 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დიდ დარბაზში (თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19) **მოწვეული იქნება საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა II პლენუმი.**

პლენუმის წევრების რეგისტრაცია იწარმოებს 1965 წ. 24-XII, დილის 9 საათიდან პროფსაბჭოს სხდომათა დიდ დარბაზში ტელ. 9-02-45, ან 38-01, დამ. 2-06.

ᲩᲐᲛᲝᲛᲐᲒᲓᲔᲡ ᲐᲕᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ

ᲯᲐᲜᲐᲠᲘᲡ კუნძულების შორიახლო საოკეანო გემზე რუსმა პოეტმა კ. ბალმონტმა გასული საუკუნის ბოლოს გიიცნო ერთი ინგლისელი, რომელმაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის კორექტურა გადასცა. ამ თარგმანმა, შესრულებულმა შემთხვევითად გაცნობილი ინგლისელის დის, მარჯორი სკოტ-უორდროპის მიერ, აღაფრთოვანა ბალმონტი და გადაწყვეტინა რუსულადაც ეთარგმნა ეს პოემა, რომელიც მანამდე არც გაეგონა.

იმ დროისათვის მეტად დამახასიათებელი და გასაკვირველი სურათია: რუსეთის იმპერიის ხალხებმა ისე ცოტა რამ იცოდნენ ერთმანეთისა სულიერ საგანძურთა თვალსაზრისით, რომ მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ შეუწყო ხელი ამ დიდი პოემის პირველ რუსულ თარგმანს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში უდიდესი შრომაა გაწეული ხალხური საგმირო თქმულებების შესაგროვებლად, ჩასაწერად, დასამუშავებლად და სათარგმნელად.

„ვეფხისტყაოსანი“ რუსულად რამდენჯერმე ითარგმნა; სომხური ეპოსი „დავით სასუნელი“, უზბეკური „ალპამიში“, ყირგიზული „მანასი“, ოსური, ყაბარდოული და აფხაზური თქმულებები „ნართებზე“, ყალმუხური „ჯანგარი“ დღეს ფართოდ ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში. საუკუნოვანი სახელი და უკვდავება ეროვნულ ხასიათებად ქცეული გმირი გოლიათებისა სიცოცხლეს მარად უჭკნობ და დიდებით მოსილ პოეტურ სახეებში განაგრძობენ.

და ინ ახლა ᲝᲣᲜᲔᲚᲘᲡᲗᲘᲡ თაოსნობითა და მხარდაჭერით პარიზის გამომცემლობა „გალიმარმა“ ფრანგულად გამოსცა საბჭოთა ხალხების გმირული ეპოსის მთავარი ძეგლები: კრიალა გარეკანანი ოთხი მდიდრული წიგნი — „ვეფხისტყაოსანი“, „დავით სასუნელი“, „გმირების წიგნი“ (ოსური „ნართები“) და ერთი ეპიზოდი „მანასიდან“, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ტრამალთა გოლიათის ერ-თიოშთიუკის მიწისქვეშა და სხვა საოცარი სათავგადასავლო ამბები“.

რაც შეიძლება ზუსტი და კომენტირებული ფრანგული თარგმანების შესაქმნელად შრომობდნენ მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნეები და